ელისო ელიზბარაშვილი
გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

იმპერატორ მარკიანეს წინასწარმეტყველური ლეგენდა ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში*

აბსტრაქტი

სტატიაში განიხილულია, თუ როგორ ხდება სოციალური იერარქიის, ტყვეობისა და ღვთაებრივი სიმბოლიზმის გადაკვეთა იმპერატორ მარკიანეს (450–457წწ) ლეგენდის მიხედვით, როგორც ამას მოგვითხრობენ პროკოპი კესარიელი (VI ს), ევაგრი სქოლასტიკოსი (VI ს) და თეოფანე აღმსარებელი (VIII-IX სს). მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ბიზანტიისა და მისი პოლიტიკური მტრებისთვის სოციალური სტატუსი დიდწილად განსაზღვრავდა სამხედრო ტყვეებისადამი მოპყრობას და მათ მომავალ ბედს, მარკიანეს შემთხვევა პარადოქსს წარმოადგენს. ლეგენდის თანახმად, მომავალი იმპერატორი უბრალო ჯარისკაცი იყო, როდესაც ვანდალთა მეფემ გეიზერიხმა შეიპყრო. მაგრამ დაინდო ის და გაათავისუფლა ტყვეობიდან მას შემდეგ, რაც მან მარკიანეს ტახტზე ასვლის წინასწარმეტყველური ნიშანი იხილა - როდესაც თაკარა მზეზე მძინარეს არწივმა მოუჩრდილა თავისი ფრთებით.

კვლევის მიხედვით, ეს ლეგენდა უნდა გავიგოთ, როგორც ბიზანტიური ტრადიციის ნაწილი, რაც მიზნად ისახავს 450 წელს თეოდოსი II-ის გარდაცვალების შემდეგ მარკიანეს მოულოდნელი აღზევების ლეგიტიმაციას ღვთაებრივი ნიშნების მეშვეობით. კერძოდ, არწივი აღნიშნავს დამცავ და განგებულ ჩარევას, რაც მარკიანეს იმპერიული ძალაუფლებისთვის ღვთაებრივად არჩეულად წარმოაჩენს. ტყვეობაც, ამ კონტექსტში, ღვთაებრივი შერჩევისა და ხსნის რიტუალის ფუნქციას ასრულებს, რაც იმეორებს მართალი ტანჯულის ბიბლიურ მოტივს, როდესაც დროებითი პატიმრობა უფლის რჩეულობისა და მომავალი განდიდების ნიშნად იქცევა, როგორც ეს ეგვიპტეში იოსების ან ბაბილონში დანიელის შემთხვევაში მოხდა.

საკვანძო სიტყვები: *ბიზანტია, სამხედრო ტყვეები, ღვთაებრივი ნიშანი, არწივის სიმბოლიკა, საიმპერატორო ლეგიტიმაცია*

ბიზანტიასა და მის მტერთა გარემოცვაში სამხედრო ტყვეთა ბედი დიდად იყო დამოკიდებული მათ სოციალურ სტატუსზე. მაღალი რანგის ტყვეები ხშირად განსაკუთრებული მოპყრობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ, რაც დიპლომატიურ, პროპაგანდისტულ და სტრატეგიულ მიზნებს ემსახურებოდა. და პირიქით, რიგითი ჯარისკაცები და უბრალო მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით(FR-23-3178 "სამხედრო ტყვეთა ბედი ბიზანტიაში (VIII-XVსს)").

მონობისთვის ან მძიმე შრომისთვის იყო განწირული. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიური სამართლებრივი კოდექსები (Ecloga, Nomocanon) ტყვეთა გამოსყიდვას ქველმოქმედებად მიიჩნევდა, სახელმწიფო პოლიტიკა რჩებოდა მკაცრად პრაგმატული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასობრივი მონობა სამხედრო ან ეკონომიკურ საჭიროებებს ემსახურებოდა.

ანალოგიურად, საკმაოდ სასტიკი იყო ვანდალთა დამოკიდებულება სამხედრო ტყვეების მიმართ. პროკოპი კესარიელი (VIს) მოგვითხრობს ვანდალთა მეფე გაიზერიხის (428–477წწ) მმართველობის პერიოდში ტყვეთა მიმართ მკაცრი მოპყრობის შესახებ, განსაკუთრებით, თუ ტყვეები ბიზანტიელები იყვნენ. ამ ისტორიულ ფონზე განსაკუთრებული ინტერესის იწვევს მომავალი იმპერატორის, მარკიანეს (450–457წწ), შესახებ არსებული ლეგენდა, რასაც მოგვითხრობენ პროკოპიოსი კესარიელი (VIს), ევაგრე სკოლასტიკოსი (VIს) და თეოფანე აღმსარებელი (IXს). მარკიანე, მაშინ ჯერ კიდევ უბრალო ჯარისკაცი, ტყვედ ჩაუვარდათ ვანდალებს. ტყვეობაში ყოფნისას მას მზეზე ჩაიძინა, ამ დროს მოფრინდა არწივი და ფრთებით გადაეფარა მას, რათა დაეცვა მზის მცხუნვარებისგან. გაიზერიხმა ეს მოვლენა ღვთის ნიშნად მიიჩნია და მარკიანე გაათავისუფლა იმ პირობით, რომ, თუკი ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ავიდოდა, არასოდეს ილაშქრებდა ვანდალთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სარწმუნოა აღნიშნული ამბავი, ამით შეიძლება აიხსნას, რატომ არ წამოიწყო მარკიანემ, უკვე იმპერატორმა, ლაშქრობა ვანდალების წინააღმდეგ, მიუხედავად მათი მზარდი საფრთხისა და 455 წელს რომის აღებისა. თეოფანე აღმსარებლის მიხედვით, არწივთან დაკავშირებული ეს სასწაულებრივი მინიშნება მარკიანეს ადრეც შეემთხვა, კერძოდ ნადირობისას. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს მის წინასწარგანსაზღვრულ გამორჩეულობას უფლის მიერ.

ამ მოტივის უძველესი ცნობილი ვერსია გვხვდება სვეტონიუსის (IIს) თხზულებაში თორმეტი კეისარი, სადაც აღწერილი წინასწარმეტყველური ეპიზოდი ტიბერიუსს (14–37წწ) უკავშირდება: კუნძულ როდოსზე ყოფნისას არწივი დაფრინდა მის სახლზე, რაც ღვთიური მინიშნებად მიიჩნიეს მისი მომავალი იმპერატორობის შესახებ. ეს სიმბოლური კავშირი არწივსა და იმპერიულ ბედისწერას შორის ჩამოყალიბდა, როგორც ლიტერატურული და იდეოლოგიური ტოპოსი, რაც შემდგომში ფართოდ დამკვიდრდა ბიზანტიურ ტრადიციაში. კერძოდ, იოანე სკილიცეს მოგვითხრობს ბასილი I-ის (867–886წწ) შესახებ, თუ როგორ მოუჩრდილა არწივმა ბავშვობაში მზეზე ჩაძინებულს. ბასილის დედამ თავდაპირველად ჩათვალა, რომ ბავშვს მტაცებელი ფრინველი ესხმოდა თავს და ქვები ესროლა, თუმცა როდესაც არწივი რანდერჯერმე დაბრუნდა, მან ეს ღვთის ნიშნად მიიჩნია. ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი, რაც ასევე ასახულია ცნობილ მინიატურაზე (Skylitzes Matritensis, fol.82v.), მარკიანეს ლეგენდით უნდა იყოს შთაგონებული და იმავე ფუნქციას ასრულებს – იმპერატორთა ძალაუფლების ღვთიური საფუძვლის წარმოჩენას.

თავდაპირველად არწივი (aquila) იუპიტერისა და ლეგიონების მთავარი ნიშანი იყო, რაც აღნიშნავდა სამხედრო ძლიერებასა და ღვთიურ მფარველობას. მისი გამოსახულება გვხვდებოდა დროშებზე, მონეტებზე, სამხედრო შტანდარტებზე, საჯარო შენობებსა და იმპერიულ ატრიბუტიკაზე. ამასთან, იგი ასოცირდებოდა apotheosis-ის იდეასთან – იმპერატორთა განღმრთობასთან და ზეციურ ძალაუფლებასთან. ბიზანტიამ რომაული სიმბოლიზმი ქრისტიანულ

კონტექსტში გადაიტანა და არწივს ახალი სულიერი მნიშვნელობა მიანიჭა. ძველაღთქმისეულ ტექსტებში იგი უფლის ძალისა და დაცვის სიმბოლოდ არის წარმოდგენილი: "თჳთ იხილენით, რაოდენნი უყჳენ მეგჳპტელია და აღგიხუენ თქუენ ვითარცა ფრთეთა ზედა არწივისათა და შემოგკრიბენ თქუენ თავისა მიმართ ჩემისა" (გამოსვლა 19:4); „ვითარცა ორბმან რაჲ დაიფარნა ბუდენი თჳსნი და მართუეთა თვისთა სუროდა, განყჳნა ფრთენი თვისნი და შეიკრიბნა იგინი და აღიმატნა იგი ბეჭთა ზედა თჳსთა" (მეორე სჯული 32:11); "ხოლო მოთმინეთა ღმრთისათა იცვალონ ძალი, ფრთეცენებულ იქმნენ, ვითარცა არწივნი; რბიოდიან და არა დაშურენ, ვიდოდიან და არ შეემშიოს" (ეს. 40:31); თეოდორიტე კვირელი აღნიშნავს, რომ „უფლის ფრთებქვეშ მორწმუნენი ჰპოვებენ თავშესაფარს და დაცვას" (PG 80:1585–1586:). ამ ინტერპრეტაციებმა არწივი ღვთაებრივი მეუფების, მოწყალებისა და ყოვლისშემძლეობის მეტაფორად აქცია. ბიზანტიელი ავტორები მას ხშირად იყენებდნენ იმპერატორთა ღვთითდამყარებული ძალაუფლების გამოსახატავად. მარკიანეს (450–457წწ) შესახებ ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ტყვეობაში ყოფნისას არწივმა მზისგან დაიფარა და ეს ნიშანი მის მომავალ იმპერატორობას წინასწარმეტყველებდა, ამ ტრადიციის ნაწილია. თუმცა, მისი ვანდალთა ტყვეობაში ყოფნის შესახებ დამაჯერებელი ისტორიული წყარო არ არსებობს. ეს ნარატივი, სავარაუდოდ, შექმნილი იყო მისი მოულოდნელი აღზევების ღვთიური ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად, როგორც ეს მოხდა კონსტანტინე დიდის, იუსტინიანე I-ისა და ლეო I-ის შემთხვევებშიც. ბიზანტიელ ისტორიკოსთა მიზანი იყო არა ფაქტების მკაცრი სიზუსტე, არამედ ღვთის ნებით გამართლებული ისტორიის წარმოდგენა. მსგავსი ამბების განმეორება სხვადასხვა ეპოქის იმპერატორთა ბიოგრაფიებში – არწივის მოტივი, წინასწარმეტყველური სიზმრები, ციური ხილვები – წარმოადგენდა შეგნებულ ნარატიულ სტრატეგიას, რაც მიზნად ისახავდა მეფის ძალაუფლების ღვთაებრივად დაკანონებას და იმპერიის ისტორიის მორალურ-პროვიდენციალურ ინტერპრეტაციას.

მარკიანეს ლეგენდა მრავალგვარად არის გადმოცემული ბიზანტიურ წყაროებში, სადაც ისტორიული ფაქტი ხშირად ერწყმის თეოლოგიურ და იმპერიულ იდეოლოგიას. პროკოპი კესარიელი (VI.2.3–4) მხოლოდ სიმბოლურ ეპიზოდს გვაწვდის: როდესაც ჯარისკაცობისას მარკიანეს მზის ქვეშ ჩათვლიმა, მოფრინდა არწივი და ფრთებით დაიფარა მზის მცხუნვარებისაგან — მოგვიანებით ეს მოვლენა განიმარტა როგორც ღვთიური მფარველობისა და სამეფო ხვედრის ნიშანი. ამ ვერსიაში ტყვეობის მოტივი არ ფიგურირებს. ევაგრი სქოლასტიკოსი (II.1) წამოწევს ტყვეობის თემას და მოგვითხრობს, რომ, როდესაც მარკიანე ტყვედ ჩაუვარდა ბარბაროსებს (თუმცა არ არის დაკონკრეტებული ვინ იყვნენ - ვანდალები, სპარსები, თუ სხვა), მან იხილა წინასწარმეტყველური სიზმარი მომავალი იმპერატორობის შესახებ. მოგვიანებით თეოფანე აღსარებელი (AM 5942) უფრო ვრცლად გადმოგვცემს აღნიშნულ ამბავს: როდესაც მარკიანე აღმოსავლეთის ლაშქრობისას ტყვედ ჩავარდნილა, დიდხანს დარჩენილა ტყვეობაში და სიზმარში ანგელოზისგან მიუღია იმპერატორად გახდომის წინასწარმეტყველება. სწორედ ამ მინიშნების პატივისცემის გამო, გაიზერიხს გაუთავისუფლებია იგი. როგორც ჩანს, ისტორიული სიზუსტე აქ მეორეხარისხოვანია. ლეგენდა წარმოაჩენს, რომ საიმპერატორო ტახტზე ასვლა ღვთის ნებით ხდება და, რომ მაღალი წარმომავლობა ან ღირსება მტრის მხრიდანაც აღიარებულია და განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს.

ძველ აღთქმაში და ქრისტიანულ თეოლოგიაში ტყვეობა პოლიტიკურ გამზომილებას სცილდება და სულიერ მეტაფორად იქცევა. ბაბილონური ტყვეობა ღვთის სასჯელს აღნიშნავს ცოდვათა გამო, ხოლო ტყვეობიდან განთავისუფლება სულიერი განახლების პერსპექტივას. თავად ქრისტე იხსნის ტყვეებს (ეფეს. 4:8; კოლ. 2:15), რაც ასახულია ბიზანტიურ ლიტურგიასა და ჰიმნოგრაფიაში. მარკიანეს ამბავიც ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ: მისი წინასწარმეტყველური სიზმარი მსგავსია ბიბლიური ისტორიების - იოსების ეგვიპტეში (დაბ. 39–41) და დანიელის ბაბილონში (დან. 1–6) - როდესაც დროებითი ტყვეობა ღვთის რჩეულობის ნიშანია.

ისტორიული მოვლენის თხრობა ისეთი მოტივების განმეორებით გამოყენებით, როგორიცაა მფარველი არწივი და წინასწარმეტყველური სიზმრები, ფუნქციონირებს როგორც ნარატიული ხერხი მარკიანეს ხელისუფლებაში მოულოდნელი აღზევების ლეგიტიმაციისთვის ასპარის, გავლენიანი რომაელი პატრიციუსისა და სამხედრო ლიდერის, მხარდაჭერით თეოდოსი II-ის გარდაცვალების შემდეგ, 450 წელს. საბოლოო ჯამში, მარკიანეს ტყვეობა, ისევე როგორც მისი წინამორბედი ბიბლიური იოსებისა და დანიელის, მეტაფორულ გარდამავალ რიტუალად წარმოგვიდგება. ამგვარად, ბიზანტიურმა ისტორიო-გრაფიამ სამხედრო ტყვეობის მკაცრი რეალობა სულიერ ნარატივად გარდაქმნა, რათა განამტკიცოს მმართველის ღვთაებრივად დადგენილი როლი.